

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2013 წლის 24 მაისის სხდომის

ოქმი =28

სენატის სხდომას, წევრთა სიითი შემადგენლობის 28 წევრიდან (1 საპატიო წევრი), ესწრებოდა 18. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს სენატის სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თავმჯდომარემ სენატის წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

### **წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცდა.**

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი სტუ-ს 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** წარმოგიდგენტ სტუ-ს 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს:

1. შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ 2012 წლის კონკურსში გამოვლინდა გამარჯვებული ფუნდამენტური და გამოყენებითი პროექტები (სულ 15 პროექტი), რაზედაც სტუ-სა და ეროვნულ-სამეცნიერო ფონდს შორის გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები თანდართული ხარჯთაღრიცხვებით. ხარჯთაღრიცხვების მიხედვით მიმდინარე წელს უნდა განხორციელდეს ორი ტრანშის დაფინანსება, რაც ჯამში შეადგენს 1 031 254 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ს დამტკიცებული ნაერთი ბიუჯეტის სამემოსავლო ნაწილი, სამეცნიერო-კვლევითი გრანტების შემოსავლები გაიზარდოს 1 031 254 ლარით, შესაბამისად, გაიზარდოს ხარჯვითი ნაწილიც;

სამშენებლო ფაკულტეტის ბაკალავრიატის მე-4 სასწავლო წლის №1902 ჯგუფის სტუდენტს გიორგი ჯავახიშვილს, მემკვიდრემ დაუნიშნა სტიპენდია, თვეში 200 ლარის ოდენობით, რაც ჯამში 2013 წლისთვის შეადგენს 1 600 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში 1 600 ლარით გაიზარდოს სამემოსავლო ნაწილი, სხვა სახელობითი

სტიპენდიების გრაფა, შესაბამისად ხარჯვითი ნაწილი განხორციელდეს სხვა ხარჯების, სხვა სახელობითი სტიპენდიების მუხლიდან;

3. სტუ-ს აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსის მოხსენებით ბარათის საფუძველზე, ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის სწავლებიდან შემოსავლის გრაფა გაზრდას ექვემდებარება 266 000 ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდოს ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილის სწავლებიდან შემოსავლის გრაფა 266 000 ლარით. აღნიშნული თანხით, 266 000 ლარით, გაიზარდოს ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვის, სხვა ხარჯების მუხლის მოგების გადასახადის პუნქტი;

4. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სხვა ხარჯების მუხლის, ქონების გადასახადის პუნქტიდან 24 000 ლარი გადატანილ იქნეს იგივე მუხლის მოგების გადასახადის პუნქტში;

5. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სხვა ხარჯების მუხლის, მიწის გადასახადის პუნქტიდან 23 000 ლარი გადატანილ იქნეს იგივე მუხლის მოგების გადასახადის პუნქტში;

6. საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის 2013 წლის 15 მაისის №78 წერილის საფუძველზე, სტუ-ს ფრენბურთელთა გუნდის წარმატებით ასპარეზობისათვის და მე-2 ადგილის დაკავებისათვის, სტუ-ს ანგარიშზე ჩამოირიცხა თანხა 3 000 ლარის ოდენობით, რომელიც განკუთვნილია გუნდის წევრებისთვის ჯილდოს სახით გადასაცემად. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდოს ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილში კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების სხვა შემოსავლების გრაფა, ხოლო ხარჯვით ნაწილში გაიზარდოს სხვა ხარჯების სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების პუნქტი 3 000 ლარით;

7. ასევე, საფაკულტეტო და კვლევითი ინსტიტუტების ბიუჯეტებში განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილებები. კერძოდ:

7.1. სამშენებლო ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 1 000 ლარი გადატანილ იქნეს რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯების მუხლის, უნიფორმის შეძენის ხარჯების პუნქტში;

7.2. ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 1 000 ლარი გადატანილ იქნეს ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების, კომპიუტერებისა და სანიტარიული საგნების შეძენის პუნქტში;

7.3. ბიოტექნოლოგიის ცენტრის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში კომუნალური ხარჯების წყლის ხარჯიდან 590 ლარი გადატანილ იქნეს ელექტროენერგიის ხარჯებში;

7.4. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ინტერნეტის ხარჯებიდან 104 ლარი გადატანილ იქნეს ბუნებრივი აირის ხარჯებში; მივლინების ხარჯებიდან 83 ლარი გადატანილ იქნეს კავშირგაბმულობის ხარჯებში; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ხარჯებიდან 100 ლარი გადატანილ იქნეს წყლის ხარჯებში, ხოლო 50 ლარი ელექტრო ენერგიის ხარჯებში;

8. სტუ-ს რექტორატის გადაწყვეტილებით იგეგმება სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი შიდა საუნივერსიტეტო კონკურსის წესით გამოვლენილი პროექტების დაფინანსება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაერთი ბიუჯეტის პროგრამულ ჭრილში მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა, რომლისათვის გათვალისწინებული იყო 577 472 ლარი (სახელმწიფო ბიუჯეტი), შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: მეცნიერების განვითარებისა და ხელშეწყობის პროგრამა თანხით 577 472 ლარი (სახელმწიფო ბიუჯეტი), რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს, ამ ეტაპზე განაწილდეს საქონელი და მომსახურების შემდეგ მუხლებში:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 450 000 ლარი;
- მივლინება - 20 000 ლარი;
- საოფისე ტექნიკისა და ინვენტარ-მოწყობილობების შეძენა - 70 000 ლარი;
- სამეცნიერო ხარჯები - 37 472 ლარი.

წარმოდგენილი ხარჯვითი ნაწილი დაზუსტდება კონკურსის შედეგად გამოვლენილი პროექტების მოთხოვნებიდან გამომდინარე.

**პროგ. დავით ჯაფარიძე:** ეს საკითხი ეხება ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებს, რომლებიც მაქსიმალური სიზუსტით უნდა ყოფილიყო გაწერილი და ამდენი გადატანა აღარ დაგვჭირდებოდა. ეხლა კი მხარს ვუჭერ, მაგრამ შემდეგში გთხოვთ გავითვალისწინოთ იყოს ზემოთ ხსენებული.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.**

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 24 მაისის =28 სხდომაზე პროგ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

**სენატმა გადაწყვიტა:** სტუ-ს 2013 წლის ბიუჯეტში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

1. შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ 2012 წლის კონკურსში გამოვლინდა გამარჯვებული ფუნდამენტური და გამოყენებითი პროექტები (სულ 15 პროექტი), რაზედაც სტუ-სა და ეროვნულ-სამეცნიერო ფონდს შორის გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები თანდართული ხარჯთაღრიცხვებით. ხარჯთაღრიცხვების მიხედვით მიმდინარე წელს უნდა განხორციელდეს ორი ტრანშის დაფინანსება, რაც ჯამში შეადგენს - 1 031 254 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე,

სტუ-ს დამტკიცებული ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, სამეცნიერო-კვლევითი გრანტების შემოსავლები გაიზარდოს 1 031 254 ლარით, შესაბამისად, გაიზარდოს ხარჯვითი ნაწილიც;

2. სამშენებლო ფაკულტეტის ბაკალავრიატის მე-4 სასწავლო წლის №1902 ჯგუფის სტუდენტს გიორგი ჯავახიშვილს, მემკვიდრემ დაუნიშნა სტიპენდია, თვეში 200 ლარის ოდენობით, რაც ჯამში 2013 წლისთვის შეადგენს 1 600 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში 1 600 ლარით გაიზარდოს საშემოსავლო ნაწილი, სხვა სახელობითი სტიპენდიების გრაფა, შესაბამისად ხარჯვითი ნაწილი განხორციელდეს სხვა ხარჯების, სხვა სახელობითი სტიპენდიების მუხლიდან;

3. სტუ-ს აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსის მოხსენებით ბარათის საფუძველზე, ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის სწავლებიდან შემოსავლის გრაფა გაზრდას ექვემდებარება 266 000 ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდოს ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილის სწავლებიდან შემოსავლის გრაფა 266 000 ლარით. აღნიშნული თანხით, 266 000 ლარით, გაიზარდოს ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვის, სხვა ხარჯების მუხლის მოგების გადასახადის პუნქტი;

4. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სხვა ხარჯების მუხლის, ქონების გადასახადის პუნქტიდან 24 000 ლარი გადატანილ იქნეს იგივე მუხლის მოგების გადასახადის პუნქტში;

5. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სხვა ხარჯების მუხლის, მიწის გადასახადის პუნქტიდან 23 000 ლარი გადატანილ იქნეს იგივე მუხლის მოგების გადასახადის პუნქტში;

6. საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის 2013 წლის 15 მაისის №78 წერილის საფუძველზე, სტუ-ს ფრენბურთელთა გუნდის წარმატებით ასპარეზობისათვის და მე-2 ადგილის დაკავებისათვის, სტუ-ს ანგარიშზე ჩამოირიცხა თანხა 3 000 ლარის ოდენობით, რომელიც განკუთვნილია გუნდის წევრებისთვის ჯილდოს სახით გადასაცემად. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდოს ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში საშემოსავლო ნაწილში კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლების სხვა შემოსავლების გრაფა, ხოლო ხარჯვით ნაწილში გაიზარდოს სხვა ხარჯების სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების პუნქტი 3 000 ლარით;

7. ასევე, საფაკულტეტო და კვლევითი ინსტიტუტების ბიუჯეტებში განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილებები. კერძოდ:

7.1. სამშენებლო ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 1 000 ლარი გადატანილ იქნეს რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯების მუხლის, უნიფორმის შეძენის ხარჯების პუნქტში;

7.2. ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 1 000 ლარი გადატანილ იქნეს ოფისისათვის

საჭირო საგნებისა და მასალების, ქიმიკატებისა და სანიტარიული საგნების შეძენის პუნქტში;

7.3. ბიოტექნოლოგიის ცენტრის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში კომუნალური ხარჯების წყლის ხარჯიდან 590 ლარი გადატანილ იქნეს ელექტროენერჯის ხარჯებში;

7.4. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ინტერნეტის ხარჯებიდან 104 ლარი გადატანილ იქნეს ბუნებრივი აირის ხარჯებში; მივლინების ხარჯებიდან 83 ლარი გადატანილ იქნეს კავშირგაბმულობის ხარჯებში; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ხარჯებიდან 100 ლარი გადატანილ იქნეს წყლის ხარჯებში, ხოლო 50 ლარი ელექტრო ენერჯის ხარჯებში;

8. სტუ-ს რექტორატის გადაწყვეტილებით იგეგმება სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი შიდა საუნივერსიტეტო კონკურსის წესით გამოვლენილი პროექტების დაფინანსება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაერთი ბიუჯეტის პროგრამულ ჭრილში მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა, რომლისათვის გათვალისწინებული იყო 577 472 ლარი (სახელმწიფო ბიუჯეტი), შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: მეცნიერების განვითარებისა და ხელშეწყობის პროგრამა თანხით 577 472 ლარი (სახელმწიფო ბიუჯეტი), რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს, ამ ეტაპზე განაწილდეს საქონელი და მომსახურების შემდეგ მუხლებში:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 450 000 ლარი;
- მივლინება - 20 000 ლარი;
- საოფისე ტექნიკისა და ინვენტარ-მოწყობილობების შეძენა - 70 000 ლარი;
- სამეცნიერო ხარჯები - 37 472 ლარი.

წარმოდგენილი ხარჯვითი ნაწილი დაზუსტდება კონკურსის შედეგად გამოვლენილი პროექტების მოთხოვნებიდან გამომდინარე.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი – სტუ-ს მართვის ინფორმაციულ-ანალიტიკური ერთიანი ავტომატიზებული სისტემის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 23 აპრილის დადგენილება №912 – მომხსენებლები პროფ. ლევან კლიმიაშვილი და პროფ. ზურაბ გასიტაშვილი;

**პროფ. ლევან კლიმიაშვილი:** მინდა წარმოგიდგინოთ საკითხი სტუ-ს მართვის ინფორმაციულ-ანალიტიკური ერთიანი ავტომატიზებული სისტემის შესახებ. წარმოგიდგენთ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 23 აპრილის დადგენილებას №912:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2013 წლის 28 იანვრის №869 დადგენილების საფუძველზე სასწავლო დარგში რექტორის მოადგილის ბატონ ლ. კლიმიაშვილის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული საკონკურსო მოთხოვნები სტუ-ს მართვის ინფორმაციულ-ანალიტიკური ერთიანი ავტომატიზებული სისტემის განხორციელებისათვის (იხ. დანართი).

2. გამოცხადდეს საუნივერსიტეტო კონკურსი სტუ-ს მართვის ინფორმაციულ-ანალიტიკური ერთიანი ავტომატიზებული სისტემის განხორციელების მიზნით.

3. შეიქმნას შესაბამისი საკონკურსო კომისია.

4. საკონკურსო კომისიამ უზრუნველყოს საკონკურსო პირობების შემუშავება და კონკურსის ვადების გამოცხადება 2013 წლის 1 მაისამდე.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.**

## **გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =2**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 24 მაისის =28 სხდომაზე პროფ. ლევან კლიმიაშვილმა და პროფ. ზურაბ გასიტაშვილმა წარმოადგინეს საკითხი სტუ-ს მართვის ინფორმაციულ-ანალიტიკური ერთიანი ავტომატიზებული სისტემის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 23 აპრილის დადგენილება №912 .

სენატმა გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2013 წლის 28 იანვრის №869 დადგენილების საფუძველზე სასწავლო დარგში რექტორის მოადგილის ბატონ ლ. კლიმიაშვილის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული საკონკურსო მოთხოვნები სტუ-ს მართვის

ინფორმაციულ-ანალიტიკური ერთიანი ავტომატიზებული სისტემის განხორციელებისათვის (იხ. დანართი).

2. გამოცხადდეს საუნივერსიტეტო კონკურსი სტუ-ს მართვის ინფორმაციულ-ანალიტიკური ერთიანი ავტომატიზებული სისტემის განხორციელების მიზნით.
3. შეიქმნას შესაბამისი საკონკურსო კომისია.
4. საკონკურსო კომისიამ უზრუნველყოს საკონკურსო პირობების შემუშავება და კონკურსის ვადების გამოცხადება.
5. ეთხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს აღნიშნული პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფისათვის გამოიყოს 200 000 ლარი.

**სპიკერი:** განვიხილოთ საკითხი, რომელიც არ არის დღის წესრიგით გათვალისწინებული. საკითხი ეხება იუნესკოს კათედრისათვის ხელშეკრულების განახლებას.

**რექტორი არჩილ ფრანგიშვილი:** მოგახსენებთ, რომ სტუ-ში იუნესკოს კათედრას ესაჭიროება ხელშეკრულების განახლება. ეს ადამიანები თავის საქმეს წარმატებით ართმევენ თავს და გთავაზობთ, რომ განვუახლოთ ხელშეკრულება კიდევ ოთხი წლის ვადით.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, რომელიც დამტკიცდა.**

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 24 მაისის =28 სხდომაზე სტუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა არჩილ ფრანგიშვილმა წარმოადგინა საკითხი იუნესკოს კათედრისათვის ხელშეკრულების განახლების შესახებ.

**სენატმა გადაწყვიტა:** იუნესკოს კათედრას (საინფორმაციო საზოგადოებას) განუახლდეს ხელშეკრულება კიდევ ოთხი წლის ვადით.

**სპიკერი:** განვიხილოთ საკითხი, რომელიც არ არის დღის წესრიგით გათვალისწინებული. საკითხი ეხება სტუ-ს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსების შრომით ანაზღაურებას – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი



**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** წარმოგიდგენთ საკითხს: ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსების ხელფასი გაუთანაბრდეს დეკანისა და მენეჯერის ხელფასს.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** მე მაინც ვფიქრობ, რომ დეკანის შრომის ანაზღაურება უნდა აღემატებოდეს ფაკულტეტის სხვა თანამშრომელთ ხელფასს.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, რომელიც დამტკიცდა.**

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =4**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 24 მაისის =28 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსების შრომითი ანაზღაურების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 იანვრის დადგენილება №858.

**სენატმა გადაწყვიტა:** სტუ-ს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსების ხელფასი გაუთანაბრდეს დეკანისა და მენეჯერის ხელფასს.

**სპიკერი:** განვიხილოთ საკითხი, რომელიც არ არის დღის წესრიგით გათვალისწინებული. იგი ეხება სტუ-ს თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ლიტვური ენისა და კულტურის ცენტრის“ შექმნას და მისი დებულების დამტკიცებას. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 21 მაისის დადგენილება №919 – მომხსენებელი პროფ. სოსო ჩუთიშვილმა

**პროფ. სოსო ჩუთიშვილმა:** ეს ცენტრი იმუშავეს თვითდაფინანსების პრინციპით და მოემსახურება სტუდენტებს, რომელთაც ექნებათ სურვილი შეისწავლონ ლიტვური ენა.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, რომელიც დამტკიცდა.**

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =5**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 24 მაისის =28 სხდომაზე პროფ. სოსო ჩუთიშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს

თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ლიტვური ენისა და კულტურის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 21 მაისის დადგენილება №919.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-ს თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ლიტვური ენისა და კულტურის ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ საკითხი, რომელიც არ არის დღის წესრიგით გათვალისწინებული. იგი ეხება სტუ-ინფორმაციული ტექნოლოგიების ინკუბატორის თვითდაფინანსებადი ცენტრის ფორმატზე გადასვლას. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 23 მაისის დადგენილება №934 – მომხსენებელი სტუ-ს სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის უფროსი, ბატონი ბორის გითოლენდია.

ბატონი ბორის გითოლენდია: მოგახსენებთ, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინკუბატორმა გადაწყვიტა გადავიდეს უნივერსიტეტის ხარჯით დაფინანსების ფორმატიდან თვითდაფინანსებადი ცენტრის ფორმატზე.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, რომელიც დამტკიცდა.

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 24 მაისის =28 სხდომაზე სტუ-ს სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ბორის გითოლენდიამ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინკუბატორის თვითდაფინანსებადი ცენტრის ფორმატზე გადასვლის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 23 მაისის დადგენილება №934.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს საკითხი სტუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინკუბატორის უნივერსიტეტის ხარჯით დაფინანსების ფორმატიდან თვითდაფინანსებადი ცენტრის ფორმატზე გადასვლის შესახებ. ასევე, დამტკიცდეს აღნიშნული ცენტრის დებულება.

სპიკერი: დარჩა კიდევ ერთი საკითხი, რომლიც დღის წესრიგში არის მოცემული. ეს გახლავთ საკითხი სააღდგომო პრემიების გაცემის შესახებ. თუმცა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა შუამდგომლობა სააღდგომო პრემიების გაცემის დღის წესრიგიდან ამოღების შესახებ შესაბამისი სახსრების უქონლობის გამო.

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 24 მაისის =28 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა შუამდგომლობა სააღდგომო პრემიების გაცემის დღის წესრიგიდან ამოღების შესახებ შესაბამისი სახსრების უქონლობის გამო.

სენატმა გადაწყვიტა: დაკმაყოფილდეს პროფ. ქეთევან ქოქრაშვილის შუამდგომლობა სააღდგომო პრემიების გაცემის დღის წესრიგიდან ამოღების თაობაზე.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ სენატის წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, სენატის წევრებს მაღლობა მოახსენა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სენატის სპიკერი,

პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

ბექა კოპაძე